საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა

(პირველი ტალღის ძირითადი შედეგები)

MICS PLUS

unicef

30.03.2021

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა[1]

პირველი ტალღა

I. გამოკვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაიწყო ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა, რომელიც ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. გამოკვლევა მიმდინარეობს მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე. დაგეგმილია გამოკვლევის რამდენიმე ტალღის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც მიიღება სხვადასხვა სახის ინფორმაცია COVID-19-ის პანდემიის დროს ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შესახებ.

გამოკვლევის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით შერჩევის ზომა განსაზღვრულია 2118 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 1005 ერთეულით, ხოლო სოფლად 1113 ერთეულით. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით (CATI).

2020 წლის მეორე ნახევრიდან, მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული კითხვარის ადაპტაცია, ტესტირება, საველე პერსონალის ტრენინგი და საპილოტე გამოკვლევა. ხოლო 2020 წლის ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში შეგროვდა გამოკვლევის პირველი ტალღით გათვალისწინებული მონაცემები.

გამოპასუხების დონემ შეადგინა 86.7 პროცენტი, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 89.1 პროცენტი, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 84.5 პროცენტი.

II. გამოკვლევის ძირითადი შედეგები

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად, შინამეურნეობები მიმართავდნენ სხვადასხვა ზომებს, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო პირბადის ტარება (93.3%), ხელების ხშირად დაბანა და ხელის სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება (75.7%), ხალხმრავალ ადგილებში ყოფნისგან თავის არიდება (74.2%), დისტანციის დაცვა (36.6%), ასევე საზოგადოებრივ ადგილებში საგნების შეხებისგან თავის არიდება (20.7%).

[1] „მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის დამატება“.

კორონავირუსისგან თავის დასაცავად ზემოთ აღნიშნულ ზომებს მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად მიმართავდნენ ქალები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებიც კორონავირუსისგან თავის დასაცავად მიმართავდნენ სხვადასხვა ზომას:

დიაგრამა №1

COVID-19-სგან თავის დასაცავად მიღებული ზომები

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობებისათვის COVID-19-ის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ტელევიზია (92.1%), ასევე ინტერნეტი (36.0%), სოციალური ქსელები (32.0%), ოჯახის წევრები და მეგობრები (26.0%).

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის წყაროებს შორის ტელევიზია უფრო მეტად გავრცელებულია სასოფლო ტიპის დასახლებებში, ხოლო საქალაქო დასახლებებში ამ თვალსაზრისით მეტად პოპულარულია ინტერნეტი და სოციალური ქსელები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი, COVID-19-ის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროების მიხედვით:

დიაგრამა №2

COVID-19-ის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შინამეურნეობების მიერ დეკლარირებულ ინფორმაციას, შინამეურნეობების 31.8 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით - 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით, რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2020 წლის მარტიდან, დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით:

დიაგრამა №3

**შინამეურნეობების პროცენტული წილი,
რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2020 წლის მარტიდან
(%)**



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის მარტიდან ქვეყანაში შინამეურნეობების 53.0 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავლები. ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 51.1 პროცენტს, ხოლო სოფლად - 55.5 პროცენტს შეადგენს.

შემოსავლის შემცირების ძირითად მიზეზად სახელდება COVID-19 და მასთან დაკავშირებული გარემოებები, როგორიცაა კომპანიის/ბიზნესის დახურვა, სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი (31.9%), კომპანიის/ბიზნესის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება (23.2%), შინამეურნეობის წევრის მიერ საკუთარი კომპანიის/ბიზნესის დახურვა (15.8%), შინამეურნეობის წევრის ხელფასის შემცირება (7.0%) და შინამეურნეობის წევრის სამუშაო საათების შემცირება (6.9%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა COVID-19-თან დაკავშირებული მიზეზების გამო:

დიაგრამა №4

შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა COVID-19-თან დაკავშირებული მიზეზებით (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, COVID-19-ის გავლენის შესამსუბუქებლად მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში, შინამეურნეობების 80.6 პროცენტმა მიიღო ოჯახებისთვის ელექტროენერგიის გადასახადის სუბსიდირება - სულ მცირე ერთი თვით, 72.7 პროცენტმა მიიღო ოჯახებისთვის ბუნებრივი აირის გადასახადის სუბსიდირება, 40.4 პროცენტმა - 18 წლამდე ბავშვთა 200 ლარიანი ერთჯერადი სოციალური დახმარება. გარდა ამისა, 32.3 პროცენტმა ისარგებლა კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების გადავადებასთან დაკავშირებული შეღავათებით.

გამოკვლევა ასევე ითვალისწინებდა COVID-19-ის გავლენის შეფასებას ბავშვთა განათლების მიღებაზე და დისტანციურ სწავლებაზე.

გამოკვლევის თანახმად, 2-5 წლის ასაკის ბავშვებთან ერთად, შინამეურნეობის ზრდასრული წევრები მონაწილეობდნენ ისეთ აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობდა ბავშვის განათლებას და სკოლისთვის მომზადებას. ბავშვებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ყველაზე

ხშირად ჩართული იყვნენ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა თამაში (96.4%), ნივთების დახასიათება, დათვლა ან ხატვა (95.9%), ზღაპრების მოყოლა (87.7%), ილუსტრირებული წიგნების წაკითხვა და დათვალიერება (87.4%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2-5 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთადაც შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში:

დიაგრამა №5

2-5 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 96.9 პროცენტით განისაზღვრა 6-17 წლის ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც 2020 წლის მარტში, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვამდე დადიოდნენ შესაბამის დაწესებულებებში და მათი დახურვის შემდეგ უტარდებოდათ ონლაინ გაკვეთილები. ქალაქის ტიპის დასახლებებისათვის აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 98.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებისათვის - 95.2 პროცენტს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ონლაინ გაკვეთილებზე დასწრების შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 6-11 წლის ასაკის ბავშვებში და 97.4 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომლებსაც უტარდებოდათ ონლაინ გაკვეთილები:

დიაგრამა №6

6-17 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც ესწრებოდნენ ონლაინ გაკვეთილებს (%)



გამოკვლევამ აჩვენა, რომ 6-17 წლის ასაკის ბავშვების 57.5 პროცენტი უყურებდა ან უსმენდა სატელევიზიო გაკვეთილებს. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია სასოფლო ტიპის დასახლებებში (60.7%), სქესის მიხედვით - გოგონებში (60.0%), ხოლო ასაკის მიხედვით - 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში (61.8%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც უყურებდნენ და/ან უსმენდნენ სატელევიზიო გაკვეთილებს საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის შემდეგ:

დიაგრამა №7

6-17 წლის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც უყურებდნენ/უსმენდნენ სატელევიზიო გაკვეთილებს (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების თითქმის ნახევარი (47.8%) კმაყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვის პერიოდში დისტანციური სწავლების მეთოდებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების კმაყოფილების დონე, შინამეურნეობის წევრი ბავშვებისთვის დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით.

დიაგრამა №8

რესპონდენტის კმაყოფილების დონე დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2-17 წლის ასაკის ბავშვების 57.5 პროცენტმა გააგრძელა სწავლა საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, 2020 წლის მარტში საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვამდე.

ამავე გამოკვლევის მიხედვით, საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესი არ განუახლებია ბავშვთა 38.3 პროცენტს, ხოლო სასწავლო პროცესის განახლების დროისათვის სწავლა უკვე დამთავრებული ჰქონდა ბავშვთა 3.9 პროცენტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება, სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, საკლასო ოთახებში დაბრუნების მაჩვენებლების მიხედვით.

დიაგრამა №9

სასწავლო პროცესის საკლასო ოთახებში განახლების შემდეგ სკოლაში/ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაბრუნება (%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2-17 წლის ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ დაბრუნების ძირითად მიზეზად დასახელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვა და ონლაინ სწავლების შესაძლებლობა (67.3%), ასევე შიში COVID-19-ის მიმართ (28.1%).

შენიშვნა:

- ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge